[illegible]

№ 391 1918 წ. შაბათი ნოემბრის 23. № 391

ეროვნული ბიბლიოთეკა
89

სახალხო საქმე

მთავარი კომიტეტის ორგანო

ცალკე ნომერი 60 კაპ.
[illegible] 30 კაპ.

ბათომში ინგლისელები შევიდნენ. გენერალი პეტენი მეცში შევიდა. ჰუნგრეთში რესპუბლიკა გამოცხადდა. ვილსონი ატყობინებს გერმანიას, რომ ბოლშევიკების ელჩის დაბრუნება ბერლინში საზავო პირობების დარღვევას უდრის.

სალომე ქაიხოსროს ასული, დავით და მიხეილ კონსტანტინეს ძენი ლორთქიფანიძენი და ოლიმპიადა კონსტანტინეს ასული და შალვა ანტონის ძე მიქელაძენი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნაცნობთ და ნათესავთ გარდაცვალებას პირველი ძვირფასი შვილისა, მეორენი დისა და უკანასკნელი ცოლის დისა

თამარ კონსტანტინე ლორთქიფანიძის ასული ბერელაშვილისა.

პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს 5 საათზე განსვენებულის ბინაზე (მიხეილის ქ., სამხედრო სასწავლებელი). გამოსვენება კვირას, ნოემბრის 24-ს სახლიდან დილის 10 საათზე. 2245

გაიოზ ადამის ძე ბერელაშვილი გულითადის მწუხარებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას დაუვიწყარის მეუღლის

თამარ კონსტანტინე ლორთქიფანიძის ასულ ბერელაშვილისას.

პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს 5 საათზე საკუთარ ბინაზე (მიხეილის ქუჩა, სამხედრო სასწავლებელი). გამოსვენება კვირას, ნოემბრის 24-ს დილის 10 საათზე. 2420

ღრმად დამწუხრებულნი ილია მანუჩარის ძე ჩიქოვანი და ელისაბედ გიორგის ასული ჩიქოვანისა აუწყებენ საზოგადოებას ნაცნობთ და ნათესავთ გარდაცვალებას პირველი საყვარელი მეუღლის და უგულითადესი მეგობრის, ხოლო მეორე დაუვიწყარი შვილის

ელენა ნიკოლოზის ასულის ჩიქოვანისას

რომლის გამოსვენება მოხდება ქ. ქუთაისში სამშაბათს, ნოემბრის 26-ს, ნაშუადღევის სამ საათზე. პანაშვიდი ყოველ დღე, საღამოს ხუთ საათზე მესხეთის ქუჩა, საკუთარი სახლი 2442

ოლღა დავითის ასული, სიმონ, ბუდუ, პავლე და ნიკოლოზ გუოგენისძენი, მდივნები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას დაუვიწყარის დისწულის

თამარ კონსტანტინე ლორთქიფანიძის ასული ბერელაშვილისა

პანაშვიდები ყოველდღე საღამოს 5 საათზე განსვენებულის ბინაზე (მიხეილის ქუჩა სამხედრო სასწავლებელი) გამოსვენება კვირას, ნოემბრის 24-ს, სახლიდან დილის 10 საათზე 2245

ანეტა გლახუნის ასული ავალიანისა, რაჟდენ და გიორგი გლახუნის ძე დუმბაძეები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ კვირას, ნოემბრის 24-ს, 12 საათზე გადახდილ იქნება კალოუბნის ეკლესიაში ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი უდროოდ გარდაცვალებულ დაუვიწყარ დის

კესარია გლახუნის ასულის თავზერიძის

და საყვარელი დის შვილის ქუთაისის გიმნაზიის მეშვიდე კლასის მოწაფის

თამარ თავზერიძის

სულის მოსახსენებლად. 2734

ღრმად დამწუხრებულნი დედა მარიამ რევაზის ასული ბახუტაშვილისა შვილებით ოლინკა და სონათი, ბებია ოლღა ივანეს ასული მაღალაშვილისა, დეიდა ნინო რევაზის ასული მაღალაშვილისა და ბიძა სარდიონ ნიკოლოზის ძე გომელაური აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 21-ს ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

რევაზ გიორგის ძე ბახუტაშვილი

მიცვალებულის გამოსვენება დანიშნულია დღეს დილის 10 საათზე, არკადის ყრუ ქუჩა, № 5, კალოუბნის ეკლესიაში. დაკრძალვა პეტრე-პავლეს სასაფლაოზედ. 2440

განცხადება

ქართულ რკინის გზის შემოსავალ განყოფილების ეზოში, ჩერქეზოვის ქუჩაზე № 70 ამა 25 ნოემბერს 1918 წელს (ახალი სტილით) 11-საათზე დანიშნულია საჯაროდ გაყიდვა წარსული წლების ანგარიშების და საბუთებისა წონით 400 ფუთამდე, ფასი 10 მანეთი ფუთი.

დაწვრილებით: ქ. ტფილისი, შემოსავალი განყოფილება ქართული რკინის გზისა, ჩერქეზოვის ქუჩა № 70—9 საათიდან 4 საათამდე ყოველ დღე გარდა უქმეებისა 1416

კახეთის რკინის გზის 1 უბნის უფროსი

ამით აცხადებს, რომ უბნისთვის საჭირონი არიან გამოცდილი გზის დარაჯები, უფროსი და რემონტის მუშები. დაწვრილებითი პირობების გაგება შეიძლება უბნის უფროსის კანტორაში (კიროჩნაია 32). 9—3 საათამდე 2433

ს.-ფედერალისტთა ოზურგეთის მაზრის ორგანიზაციებს

ორშაბათს, ნოემბრის 25 ს, ქ. ოზურგეთში დანიშნულია სოციალისტ-ფედერალისტთა სამაზრო კონფერენცია

განსახილველი საკითხები:

1. მოხსენებები სამაზრო კომიტეტისა და ადგილებიდან.
2. სამაზრო კომიტეტის რეორგანიზაცია.
3. მომავალი მუშაობის გეგმა დამფუძნებელი კრება, საერობო მუშაობა. წარმომადგენლობა 50 კაცი გზავნის 1 დელეგატს.

1415 **სამაზრო კომიტეტი.**

სახელმწიფო თეატრი

შაბათს, ნოემბრის 23-ს, **ოპერა**

ტ. საბანეევის, ბ. ზალიპსკის, ფ. პოლიაევის მონაწილეობით

ტრავიატა

ოპერა 4 მოქმ., მუსიკა ვერდისა.
ფასები დაკლებულია. დასაწყისი სად. 7½ ს.

კვირას, ნოემბრის 24-ს დილით **ფაუსტი** საღამოთი მ. ალეშკოს, კანშინის და თორდას მონაწილეობით

ტოსკა.

სამშაბათს, ნოემბრის 26-ს საბანეევის, ზალიპსკის, პოლიაევის და ნიკოლსკის მონაწილეობით

სევილიელი დალაქი.

დასის წარმომადგენელი **ევლახიშვილი.** 1397

განცხადება

საქართველოს პარლამენტის და მთავრობის დაწესებულებათა მოსამსახურეების ეკონომიური საზოგადოების გამგეობა იწვევს მათ, ვისაც შეუძლიან მია, წოდოს საზოგადოებას შეშა, კართოფილი, ლობიო, სიმინდის და პურის ფქვილი ხახვი, კომბოსტო, ბრინჯი, ერბო, ყველი, თაფლი და სხვა.

მსურველთ წინადადება ეძლევათ განცხადება შემოიტანონ, პირადად მოლაპარაკებაც შეიძლება საზოგადოების კანტორაში ევანგულოვის ქუჩაზე № 29 საღამოს 4—5 საათამდე. 243.

განცხადება

პირველ დეკემბრიდან სამხედრო სამინისტროს საერთო განყოფილება, სამხედრო მინისტრის განკარგულებით, გამოსცემს ყოველ-კვირეულ სამხედრო ოფიციალ ჟურნალს, სამხედრო სამინისტროს განკარგულებათა კრებულს „რესპუბლიკის ჯარს“.

ჟურნალს ექნება ორი განყოფილება: ოფიციალი, სადაც დაიბეჭდება ბრძანებები სამხედრო ხარისხოსანთ შესახებ, ჯარების მიმართ და წესდებები, და არაოფიციალი, სადაც დაიბეჭდება მოთხრობები, ლექსები, ფელეტონები მეცნიერების ყოველივე დარგიდან, პრესის მიმოხილვა კვირიდან-კვირამდე და ქრონიკა. ჟურნალი სურათებიანი იქნება და ეღირება ცალკე ნუმერი 1 მ. 50 კაპ. ხელის მომწერთ ჟურნალი დაუჯდებათ: ერთი წლით 52 მანეთად, ნახევარი წლით 26 მანეთად და სამი თვით 13 მანეთად. ხელის მომწერლებმა ფული უნდა გაუგზავნონ ჟურნალის რედაქციის მოლარეს, კაპიტან გიორგაძეს

რედაქცია ღიაა ყოველ დღე 10—3 საათამდე.

რედაქცია მოთავსებულია სამხედრო სამინისტროში, ბარიათინსკის ქუჩა ტელეფონი 5—13. 2436

პ. ი. ზუბალაშვილის სახ. სახ. სახლი

სახ. სახლ. არს. ქართ. წარმ. მმართ. წრე.

კვირას, 1918 წ. ნოემბრის 24-ს წარმოდგენილი იქნება:

გამცემი

დრამა 3 მოქმ. ი. გედევანიშვილისა

მონაწილეობენ: ქ-ნი ს. ანკარა, ე. იანქოშვილი, ს. რომანიშვილი-დგებუაძისა, ბ-ნნი შ. მამაჯანოვი, ა. მეტრეველი, ი. რომანიშვილი, ა. თადგირიძე, ნ. ჭანკვატაძე. ადგილების ფასი 3 მ.—50 კ—მდე. ბილეთების კასა ღიაა ყოველ დღე დილის 12—2 ს. და საღამოს 6—8 ს. დასაწყისი საღამოს 7 ს.

რეჟისორი ი. **ბარველი.** ქარ. ს. წ. წ. ადმინისტრაცია. 2438



ცირკი „მოდერნი“

(ყოფილი ძმ. ეფიმოვებისა, მიხეილის ქუჩა)

დღეს, 1918 წ. ნოემბრის 23-ს

დიდი წარმოდგენა

ჩვენი შაბათები

ოცი ნომერი. პირველხარისხოვანი პროგრამა. მონაწილეობენ: ტფილისელი კინტო **პეტრე ლევანსკი, ოთხი ეშმაკი,** იაპონელთა დასი იამადა—სანისა ბ. **ზინკოვსკების** ახალი კუპლეტები, **ვიქტორ** და **დიმი.** აგრეთვე მთელი დასი.

ანონსი: კვირას, ნოემბრის 24-ს ორი წარმოდგენა, კავკასიური ქიდაობა. დასაწყისი 8 ს., დღისით 3 ს.

მთავარი ადმინისტრატორი **პ. ელიზაროვი.** 2343

ტფილისი, ნოემბრის 23.

ქალაქ ბაქოში, რო- **ბიჩერახოვი** რომელსაც განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს ამიერ-კავკასიის ყველა რესპუბლიკისათვის, ინგლისის ჯარი შევიდა სპარსეთიდან. ქალაქში შესულა აგრეთვე როგორც **კავკასიის** საზღვაო და ხმელეთის **ჯარების** უფროსი — ბიჩერახოვი. მაშინ, როდესაც სამხრეთით და დასავლეთით ჩვენდამი აღწევს რევოლიუციით გამოწვეული ენერგიის მომცემი თავისუფლების ძახილი, აღმოსავლეთიდან ჩვენი ცხოვრების ჰორიზონტი იღრუბლება და სრულიად უცნობი ძალები გვიპირებენ ჩაყლაპვას. სამწუხარო ის არის, რომ რამდენადაც თავისუფლების ხმა შორს არის ჩვენგან, იმდენადვე ახლოს არის ბიჩერახოვის მუქარა. ყოველ შემთხვევაში ჩვენ არ შეგვიძლიან ბაქოდან მოღერებულ მუშტს ანგარიში არ გაუწიოთ და არ გამოვაშკარაოთ მისი შინაარსი. ჩვენ ძალიან კარგად ვიცით, რომ მსოფლიოში შეიქმნა ისეთი ობიექტიური მდგომარეობა, რომ ერების საკითხები და ჩვენი ერის საკითხიც გადაიჭრება არა ავანტიურისტულ აქტების მეოხებით, არა, არც ბაქოს ფრონტი იტყვის საბოლოო **სიტყვას** ჩვენი თავისუფლების შესახებ; ჩვენი ბედის სავანე ევროპაშია ევროპის რევოლიუციის წიაღშია და აქეთკენ უნდა იყოს ყოველი პრაქტიკული მოღვაწის **ყურადღება** მიჯაჭული. ხოლო თუ ჩვენ გვინდა გავიგოთ შინაარსი ბაქოში შექმნილი მდგომარეობისა, ეს იმდენად, რამდენადაც მეტად საყურადღებო, თუმც ფრიად სამწუხარო სურათთან გვაქვს საქმე.

მეტად განსაკვიფრებელია ის გარემოება, რომ ბაქოში შექმნილია კონტაქტი ბიჩერახოვსა და ინგლისის ძალთა შორის, ბიჩერახოვი უკვე სახელმწიფოებრივი ფირმით გამოდის ასპარეზზე და გვევლინება როგორც კავკასიის სარდალი. რას ნიშნავს ეს ფაქტი? ვინ არის ბიჩერახოვი? არავისათვის საიდუმლოება არ არის, რომ ბიჩერახოვი სრულიად უცნობი ძალაა არა მარტო ადგილობრივ ერებისათვის, არც ერთ სახელმწიფოს რუსეთში ბიჩერახოვისთვის არაფერი დაუვალებია და საერთაშორისო სამართალის თვალსაზრისით მისი მოვლინება ყოვლად შეუწყნარებელია. ჩვენთვის განსაცვიფრებელი ის კი არ არის, რომ ბიჩერახოვი გამოდის დიდი ტიტულების სახელით, გვიკვირს სახელით, გვიკვირს რომ კონსტიტუციათა სამშობლო — ინგლისი რესპუბლიკანურ ქვეყნებს ევლინება არა კონსტიტუციის გზით და ძალადობით. ნუ თუ წარმოსადგენია, რომ ლიბერალური ინგლისი და რეაქციონურ ბიჩერახოვი ერთად გამოვიდნენ ასპარეზზე და ასეთის კომბინაციით ჩასცენ რესპუბლიკანური ერები? ნუ თუ ინგლისს ჰგონია, რომ ამიერ კავკასიაში მას საქმე აქვს პაპუასებთან, ავამბოებთან, გერეროებთან და სხვა ველურ ტომებთან?

ბიჩერახოვის შემოსვლა ბაქოში პირველყოვლისა ლახვარია ადერბეიჯანის დამოუკიდებლობისათვის. თვითონ ადერბეიჯანს ბიჩერახოვისათვის არაფერი მიუნდვია, ბიჩერახოვი ანგარიშსაც არ უწევს ადერბეიჯანს და ბაქოში გამოცემულ ბრძანებით აცხადებს, რომ მის წინაშე არის არა რესპუბლიკები ადერბეიჯანის, სომხეთის და საქართველოს, არამედ არის მთელი კავკასია, რომელიც ერთი ნაწილია დიდი რუსეთისა. როგორც ვხედავთ, ჩვენს წინაშე არა მარტო ადერბეიჯანის წინააღმდეგ მიმართული, მუქარა ეხება სომხეთს და საქართველოსაც, რამდენადაც ხსენებული ქვეყნების არსებობა დამოუკიდებლობის ნიადაგზეა დამყარებული და არა რუსეთის ნაწილობაზე. დიაღ, ბიჩერახოვის მუჯლუგუნი პირველად ადერბეიჯანელებს ხვდება მაგრამ ბიჩერახოვი პრეტენზიას აცხადებს, რომ ის ამავე დროს კავკასიაში არსებულ ჯარების მთავარ-სარდალია. ნუ თუ ეს იმას ნიშნავს, რომ ბიჩერახოვი საქართველოს ჯარების სარდალიცაა? ბიჩერახოვის ბრძანებიდან სჩანს, რომ ის არავითარ ძალას არ სცნობს, რომელიც მას არ დაექვემდებარება, აქედან თავისთავად ცხადია, რომ საქართველოს მხედრობის კერძოდ და ქართველ ერს საერთოდ ბაქოდან ემუქრება რეაქციის ძალა და ამ მოძალადეს, განსაკუთრებული ყურადღების მიქცევა ესაჭიროება.

ჩვენ არ ვაზვიადებთ ბიჩერახოვის ძალას, ასეთი ავანტიურისტები არა ერთი მოვლინებია სხვა და სხვა ერს, მაგრამ ყოველ შემთხვევისათვის საჭიროა თადარიგი, მომზადება, რომ უსამართლობა სამართლის სახელით არ იქნეს გასაღებული კონსტიტუციონურ ქვეყნების მიერ. განსაკუთრებით საჭიროა მჭიდრო კავშირი ამიერკავკასიის ერებს შორის, დაახლოვება ადერბეიჯანთან, სომხეთთან. რომ ყველა ერის შეერთებულ ძალამ საზღვარი დაუდოს ეს ოდენ წარმოუდგენელ ბოროტებას და უსამართლობას ბიჩერახოვების მხრივ.

უკანასკნელი ცნობები

როგორც „კავკაზსკოე სლოვო“ გადმოგვცემს ბათომში ინგლისელები უკვე ჩასულან.

ზავის გარშემო

საზავო თათბირი.

ინგლისური პრესა. ნოემბ. 20. პრეზიდენტი ვილსონი მონაწილეობს იმ თათბირში, რომლის მიზანია ზოგადად განმარტოს ზავის პირობები.

მუნგრეთის რესპუბლიკა

გერმანიის სამხედრო გემებს ნოემბ-

21 ჩაბარებენ მოკავშირეთ ბრიტანიის ზღვაში. ბუდაპეშტიდან დეპეშით იუწყებიან, რომ ჰუნგრეთი რესპუბლიკათაა გამოცხადებული.

დემობილიზაცია.

სამხედრო საბჭოს აზრით სამხედრო მდგომარეობა შეუძლებლად ხდის მოხდეს დემობილიზაცია. მცირე ნაწილების დემობილიზაცია შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამას მრეწველობის აღდგენა მოითხოვს.

ჰოლლანდიაში.

ჰოლლანდიაში ამ ჟამად სრული სიწყნარეა. ტრელსტრამ განაცხადა, რომ რევოლიუციონური მოძრაობა დამარცხდა.

მოკავშირეების წინსვლა.

ბრიუსელის და ანტვერპენის ოკუპაცია უკვე დასრულდა.

გენერალი პეტენი მეათე არმიით მეტცში შევიდა მცხოვრებნი დიდის ოვაციებით შეხვდენ. გენ. პეტენი საფრანგეთის ფელდმარშლად დაინიშნა.

ზარალი ზღვაზე.

საადმირალო აცხადებს, რომ ბრიტანიის სავაჭრო ფლოტს ოქტომბრის განმავლობაში 84000 წყალწყვის ზარალი მოუვიდა, იმ დროს როცა ნეიტრალურ და მოკავშირეთა სახელმწიფოების ზარალი 93000 წყალწყვას შეადგენს.

გერმანიის სადმირალო იუწყება, რომ 94 წყალქვეშა ნავი მზად არის ჩასაბარებლად და ყოველ დღიურად 20 ნავს ჩააბარებს.

ბელგიაში.

ბელგიის მეფე ალბერტმა პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები მიიღო იმ მიზნით, რომ შექმნას ახალი კაბინეტი.

გერმანული პრესა 10—11. ანტვერპენიდან მოსული ცნობის თანახმად, გერმანიის ჯარის წასვლის შემდეგ ბრიუსელში ცარცვა გახშირდა. ორი რკინის გზის სადგურს ცეცხლი წაეკიდა.

პოზნანის ბედი

გერმანული პრესა. ნოემბ. 20. „ბერლინერ ტაგებლატი“ პოზნანში ახლახან მომხდარ ამბებზე ამბობს, რომ სრან. მათ განზრახული აქვთ განსაზღვრულ მიზნის მიღწევა მანამდე, სანამ საზავო კონფერენცია შესდგება და პოზნანის პროვინცია პოლონეთის სამეფოს შეუერთონ. „ტაგებლატი“ ხაზს უსვამს იმას, რომ მხოლოდ საზავო კონფერენციას აქვს უფლება პოზნანის ბედი გადასწყვიტოს და პრეზიდენტ ვილსონის პროგრამის თანახმად პოლონეთს მიეკუთვნება მხოლოდ ის ოლქები, რომლებიც დასახლებულია პოლონელებით და ისიც იმ შემთხვევაში, თუ ამითი არ დაიბადება უთანხმოება და მტრული განწყობილება.

სარწმუნო წყაროებიდან მიღებულ ცნობებით 31 დეკემბრამდე გერმანიის ზარალი ასეთია: 1,580,000 კაცი მოკლულია. უგზოუკვლოდ დაკარგულია 260,000 და 490,000 ტყვე. დაჭრილთა რიცხვი 4000,000 აღწევს, ამ რიცხვში რამდენჯერმე დაჭრილნიც შედის.

კავკასიაში.

კავკასიაში მყოფ გერმანულ ჯარების მთავარსარდალი დეპეშით იუწყება, რომ კავკასიაში სრული სიწყნარეა და წესიერებაა. გერმანიის ჯარი კარგ მდგომარეობაშია.

რევოლიუცია გერმანიაში

ბავარიის მეფე.

მუშათა და ჯარის კაცთა საბჭომ ბავარიის ყოფილ მეფეს ლაუდვიგს სამშობლოში დაბრუნების ნება დართო. ლიუდვიგი თავის ოჯახობით ვილდენვარტ ამ იენზეს სასახლეში დასახლდა.

გერმანიის ჯარი.

ჯარის კაცები აღიარებენ, რომ ადმინისტრაცია ეხლა გაცილებით უკეთესად მოქმედებს. ვიდრე ძველი რეჟიმის დროს დისციპლინა დაცულია, ყველგან. ჯარის კაცებს, უნტეროფიცრების და ოფიცერთა შორის ამხანაგური დამოკიდებულებაა მაგრამ ბევრ ალაგას ინცინდენტი მაინც მოხდა. ვაგონების სახურავებზე მყოფი გვირაბში გავლის დროს დაიხოცნენ. ზოგი სახურავებიდან ძილის დროს დაბლა გადმოვარდა.

მოსკოვის ცნობები

მოსკოვი, ნოემბრის 21. ც. აღ. კომ. ბეჭდვითი ბიუროს ბიულეტენი. უკრაინის განთავისუფლება. სერედინა-ბუდა 20 ნოემ. გერმანელები საჩქაროდ სცლიან ჩერნიგოვის გუბერნიას. ჰაიდამაკე-

ხუტორა დაიპყრო. თეთრ გვარდიელები ირაზმებიან და ფიქრობენ უზოვეტციდან გაგვიწიონ წინააღმდეგობა. მცხოვრებნი სიხარულით ეგებებიან განმათავისუფლებელთ. ბევრი იარაღს თხოულობს, უკრაინაში შესასვლელად და ტანჯულ ძმების გასანთავისუფლებლად. ბურჟუაზია და სპეკულიანტები გარბიან და თან მიაქვთ ძვირფასი ნივთები დარჩენილ ქონებას ანადგურებენ. ავანტიურის მომზადებაა. შეთანხმების სახელმწიფოებმა მოწოდება გამოუშვეს სამხრეთ რუსეთის მცხოვრებლებისადმი. ისინი აცხადებენ, რომ სამხრეთ რუსეთში აპირებენ შესვლას რუსეთის აღსადგენად და „უზურპატორ“ ბოლშევიკების დასამხობად. იქ მყოფ გერმანელთა და მოკავშირეთა მიზანი ერთიდა იგივეა—წყობილების დაცვა.

მოსკოვი, 21 ნოემ. ბოლშევიკების და მათ ამხანაგებს კანონი აღარ დაიცავს. ცნობენ მხოლოდ საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ მებრძოლ ჯარს: მოხალისეთა, ყაზახთა და დამფუძნებელ კრების. ყველა დანარჩენ ორგანიზაციას იარაღის ჩაბარებას მოსთხოვენ. სტოკჰოლმი, 19 ნოემ. ვილსონმა აცნობა გერმანიის მთავრობას, რომ წესრიგის აღდგენა დროებითი ზავის უმთავრესი პირობაა. იმ შემთხვევაში, თუ საბჭოთა რუსეთის ელჩი ბერლინში ჩავა, დროებითი ზავი დარღვეული იქნება. ნაუენი, 19 ნოემ. გერმანიის მთავრობამ აუწყა საბჭოთა რუსეთის მთავრობას, რომ რუსეთის წარმომადგენელის ჩამოსვლა ბერლინში არა სასურველია დროებით. ბერლინი, 19 ნოემ. ებერტმა განაცხადა, რომ რეიხსტაგს აღარ მოიწვევენ. მას აზრადა აქვს დამფუძნებელ კრების მოწვევა 2 თებერვლისთვის. მაგრამ საეჭვოა, რომ ამ დროისთვის მოასწროს არჩევნები. ჰამბურგი, ნოემბ. 19. რეველიდან იუწყებიან, რომ ქუჩებზე შეტაკებები ძლიერდება. მუშებმა ხელთ იგდეს ტყვიისმფრქვეველნი. ბურჟუაზია შეშინებულია. ქარხნებში აირჩიეს კომიტეტები, სადაც უმრავლესობა კომუნისტია. გამოვიდა გაზეთი „კომუნისტი“. კიევი, ნოემბ. 20 გაზეთების ცნობით ზღვის ფლოტი ძლიერ დაზიანებულია. მათი შეკეთება ორი მილიონი მანეთი ეღირება და რამოდენიმე წელს გასტანს. თეთრგვარდიელთა ბანაკში. სამარა 20 ნოემ ურალზე, თეთრგვარდიელთა და მცხოვრებთა შორის დიდი უთანხმოებაა. დონის როსტოვი 19 ნოემ. ყუბანის მთავრობამ აკრძალა უნებართვოდ ყოველგვარ ცნობის ბეჭდვა. მთავრობის წევრებს უფლება აქვთ დახურონ გაზეთები და რედაქტორი პასუხისგებაში მისცენ, თუ მთავრობის საწინააღმდეგო წერილი დაიბეჭდა. ველსკი, 19 ნოემბერი არხანგელსკში შესდგა ახალი დროებითი მთავრობა, რომელშიც შედის: ჩაიკოვსკი, პოლკოვნიკი დუროვი, თავადი ვურაკიანი და რამდენიმე კადეტი. ძველი უმაღლესი მთავრობიდან ზოგი დაატუსაღეს, ზოგი გაიქცა. არხანგელსკის ბურჟუაზიამ გადასწყვიტა მთავრობაში შევიდეს, თუ მის შემადგენლობაში ჩაიკოვსკი მიიღებს. ბურჟუაზიასა და ინგლისის სარდლების შორის უთანხმოებაა. არხანგელსკის თეთრგვარდიელთა პრესის ოფიციალურ განყოფილებაში იბეჭდება სახალხო კომისართა საბჭოს დეკრეტების კრიტიკული ახსნა-განმარტება. ჩაიკოვსკისა და ზუბოვის მიერ ხელმოწერილი. პეტერბურგი 21 ნოემ. პეტერბურგის სახალხო განათლების კომისარი ხსნის რამოდენიმე ახალ სასწავლებელს ვორონეჟი 20 ნომ. საბჭოთა გერმანელების ჟურნალისტების საოლქო კავშირი ხსნის ჟურნალისტიკის და ლიტერატურის საოლქო კურსებს. თურქესტანი: ტაშკენტი, 19 ნომ. კასპის იქითა ფრონტზე ჩვენმა ჯარმა ქ. მერვი მიატოვა და უკან დაიხია. ტაშკენტის სახალხო უნივერსიტეტთან გაიხსნა უმაღლესი სატექნიკო კურსები. არსდება თურქესტანის დეპეშათა სააგენტო.

ახალი ამბავი

◆ **რუსი ლტოლვილები.** რუსთა ეროვნულ საბჭოს ატყობინებენ, რომ ამ დღეებში ბორჯომში მოსულან არტაანის ოლქის ს. მიხაილოვსკიდან გამოქცეული რუსები რიცხვით 527 კაცი.

◆ **გვამი.** გუშინ დილით ბაქოს ქუჩაზე იპოვეს ტომარაში ჩადებული ინტელიგენტ კაცის გვამი, რომლის ვინაობაც ვერ გამოარკვიეს. მკვდარს რამოდენიმე ჭრილობა აქვს ხანჯლით.

◆ **მიწების დაბრუნება.** საქართვე-

ეროვნულ საბჭოს შუამდგომლობა, სოფელ გლდანის მიერ რუს გლეხებისათვის ჩამორთმეულ მიწების უკან დაბრუნებისათვის.

◆ **ერობა.** გუშინ შინაგან საქმეთა მინისტრის თავმჯდომარეობით დაიწყო თათბირი საქართველოს რესპუბლიკის ერობის წარმომადგენლებისა. თათბირმა უნდა განიხილოს ერობის კომპეტენცია, საბიუჯეტო და საგანმანათლებლო საკითხები.

◆ **პური სომხებისათვის.** საქართველოს მთავრობამ ნება დართო სომხეთა მთავრობას, ჩრდილო კავკასიაში შეძენილ პურის პირველი პარტიის საქართველოს გზებზე უტარიფოდ გატარებისა.

◆ **გვამი.** ნოემბრის 16-ს ღამით მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, ვერის დაღმართთან აღმოაჩინეს დამხრჩვალი ქალის გვამი. მიცვალებულს შავი ტანისამოსი აცვია და ხელზედ ოქროს ბეჭედი აღმოაჩნდა ზედწარწერით „მარია“.

◆ **„საათნოვას“ საღამო.** შაბათს, ნოემბრის 30-ს „სომხ-გერმანელთა კულტურული საზოგადოება“ ჰმართავს მორიგ საღამოს სახალხო მგოსან-მომღერალ „საათნოვას“ პატივსაცემად.

◆ **კრება.** კვირას, ნოემბრის 24-ს დილის 9 საათზე მედიკურ საზოგადოების შენობაში შესდგება ტფილისის აფთიაქებში მომუშავეთა პროფესიონალურ კავშირის საერთო კრება. დღიური წესრიგი: უმუშევართა ინსტრუქციის დამტკიცება და მომავალი ფარმაცევტთა ყრილობისთვის წევრების არჩევნები.

◆ **„ტიფლისკი ლისტოკი“** ახალ რედაქციის ხელში გადავიდა, რომელშიაც შედიან ნ. დუბროვსკი და ა. შირსკი, ახალი რედაქციით ამ გაზეთის ნომერი კვირას გამოვა.

◆ **დახმარება.** ქალაქის გამგეობამ დაადგინა მიეცეს ას-ასი თუმანი შემწეობა მოკლულ და გარდაცვლილ შემდეგ სახალხო გვარდიელების ქვრივებს ანუ მათ ოჯახობას: ალ. მაისურაძის, ფირცხალაშვილის, ბარამიძის, ფირცხალავას, ყაჩეჩის, ვეინგერბინის, არ. მორგველაშვილის და გ. ფირანაშვილის ოჯახს. ეს ფული გაგზავნილ უნდა იქნეს სახალხო გვარდიის უმთავრეს შტაბში გადასაცემად.

◆ **სამსახურისათვის.** ქალაქის გამგეობამ დაადგინა, რომ ამიერიდან ვისაც სურს ქალაქის გამგეობაში და მის დაწესებულებების სამსახურში შესვლა აუცილებლივ უნდა იყოს შემოწმებული საგანგებო ქალაქის ექიმების მიერ შედგენილ კომისიაში. ამ კომისიის შეუმოწმებლად მათი თხოვნა რაიმე სამსახურის შესახებ გამგეობის მიერ არ იქნება განხილული.

◆ **ქართული ენა.** ქალაქის გამგეობამ დაადგინა ქალაქის სახელოსნო სასწავლებელში ქართული ენის სწავლა ეხლავე დაიწყონ მოსამზადებელ და პირველ კლასში (კვირაში ოთხი გაკვეთილი) და მეორე და მესამე კლასში კი ორი გაკვეთილი უნდა იყოს კვირაში.

◆ **მთიელთა გაზეთი.** კვირიდან ტფილისში ჯერჯერობით კვირაში ორჯერ გამოვა რუსულ ენაზე მთიელთა მთავრობის ოფიციალური გაზეთი „სევერნი კავკაზ“, რომლის გამოცემაც შემდეგ გადატანილ იქნება კავკაზში, როცა იქ წესრიგი დამყარდება.

◆ **პენსია.** ქალაქის პენსიონერებმა მიმართეს ქალაქის გამგეობას თხოვნით, რათა მათ სიძვირისა გამო პენსიები მიუმატონ.

◆ **საყასბოები.** ქალაქის გამგეობამ მოიწონა სასურსათო განყოფილების მიერ შედგენილი ხელშეკრულების პროექტი ქალაქის საყასბო დუქნების ტფილისის კოოპერატივების კავშირის გადაცემის შესახებ. საყასბო დუქნები არანაკლებ ექვსი თვის ვადით უნდა გადაეცეს ამ კავშირს იმ პირობით, რომ მოსამსახურეებს შემდეგ სალიკვიდაციო ფული კავშირმა უნდა გადაუხადოს.

◆ **საზოგადო კრება.** ვაჟთა პირველ გიმნაზიის მშობელთა წრის ყოფილი თავმჯდომარე სთხოვს მშობლებს და მზრუნველებს მობრძანდნენ კვირას, ნოემბრის 24 შუადღის 12 ს. პირველი გიმნაზიის შენობაში საპედაგოგიო საბჭოსთვის დელეგატთა ასარჩევად.

◆ **გაფიცვა.** გაიფიცნენ პარლამენტში მანქანებზე მომუშავენი—მოითხოვენ ჯამაგირების მომატებას.

◆ **კონცერტი** დღეს, ნოემბრის 23 ქართ. სამუსიკო საზოგადოების კონცერტის პროგრამა შემდეგია: ა. გლაზუნოვ-კვარტეტი დ—მოლ № 5, ოპ. 70. ს. ტანეევი—ფ. 3. კვარტეტი. ოპ.

20. ნ. ჩერეპნინი—რომანსები ა. ბოროდინი—კვარტეტი დ—დურ. № 2. მ. მ. ლ. ბენდიცკის (როიალი) მ. ზალიპსკის (სიმღერა), ნ. ჩერეპნინის და ქართ. სამუსიკო სკოლის კვარტეტის მონაწილეობით. კონცერტი გაიმართება კონსერვატორიის დარბაზში. დასაწყისი 8 საათზე.

◆ **იარაღი.** ტფილისის მცხოვრებლებმა ნოემბრის 16-მდე საკომენდანტოს თავის ნებით ჩააბარა შემდეგი იარაღი: რევოლვერები სხვა და სხვა სისტემისა—127, ვინტოვკები სხვა და სხვა სისტემისა—306, პატრონები რევოლვერისა და ვინტოვკისა—17,405 ცალი და სხვა და სხვა ასაფეთქებელი ნივთიერებანი და ყუმბარები.

◆ **ძუკუ ლოლუას კონცერტი.** ამ დღეებში ტფილისს ჩამოვა ცნობილი ხალხური მომღერალი ძუკუ ლოლუა და დიდ კონცერტს გამართავს.

◆ **კონცერტი.** ქართ. სამ. საზოგადოება შაბათს, 23 ნოემბერს ჰმართავს საინტერესო კონცერტს ლ. ს. ბენდიცკის (როიალი) ბ. ი. ზალიპსკის (სიმღერა) ნინა ჩერეპნინის და ქართ. სამუსიკო სკოლის კვარტეტის მონაწილეობით, ბილეთები იყიდება კესერის სამუს. მაღაზიაში. (გოლოვინ. პრ. № 8),

◆ **„კავკაზსკი გოროდ“.** გამოვიდა სამუნიციპალო ჟურნალის „კავკაზსკი გოროდ“-ის მე-11—12 ნომერი. რედაქციის მისამართი: სომხის ბაზარი, № 6.

◆ **ახალი ამხანაგობა.** ტფილისში შესდგა ცნობილ ქართველ კომერსანტთა ამხანაგობა, რომელიც სასახლის ქუჩაზე დიდ სავაჭრო სახლსა ჰხსნის „შუამავალის“ ფირმით. ამხანაგობის მიზანია, საქართველოს ნაწარმოებთა ევროპის ბაზარზე უშუალოდ გატანა და იქიდან საქართველოში საჭირო საქონლის შემოზიდვა.

საქ. სოც.-ფედ. სარევ. პარტიაში

კვირას, ნოემბრის 24 საღამოს 7 ს. „სახ. საქმის“ რედაქციაში დანიშნულია მთავარი კომიტეტის კრება. ამხანაგებს სთხოვენ უეჭველად დაესწრონ.

სამინისტროებში

იუსტიციის სამინისტრო

სამტრედიის რევოლიუციო ტრიბუნალის გაუქმებისა და მისი ფუნქციების ქუთაისის საგანგებო სასამართლოსთვის გადაცემის გამო, მთავრობის დადგენილებით აღნიშნულ ტრიბუნალის ზოგიერთი წევრით უნდა შეივსოს ქუთაისის საგანგებო სასამართლოს შტატი.

ამის გამო იუსტიციის მინისტრმა მოსთხოვა სამტრედიის ტრიბუნალის თავმჯდომარეს, კანდიდატების წარმოდგენა.

იუსტიციის სამინისტროს მოუვიდა ეს სია, რომელშიაც აღნიშნულია შემდეგ პირთა კანდიდატურა: პავლე ლუკას ძე წულაია, მიტროფანე სილიბისტროს ძე ჯანელიძე და ევგენი ძიძიგური.

სამხედრო საპყრობილის დაარსება.

იუსტიციის სამინისტროში, სამხედრო სამინისტროსთან შეთანხმებით ირკვევა საკითხი ტფილისში სამხედრო საპყრობილის დაარსებისათვის.

საგანგებო სასამართლო სოხუმში.

სოხუმში მყოფი მთავრობის წარმომადგენელი ისიდორე რამიშვილი სთხოვს იუსტიციის მინისტრს იშუამდგომლოს მთავრობასთან, რათა საჩქაროდ დაინიშნონ სოხუმის საგანგებო სასამართლოს წევრები.

განქორწინების კანონ-პროექტი.

იუსტიციის სამინისტროსთან მუშაობს საუწყებათაშორისო კომისია, რომელიც იხილავს განქორწინების კანონ-პროექტს ამ კომისიის უკანასკნელი სხდომა დანიშნულია ორშაბათისათვის, რის შემდეგაც კანონის საბოლოო ტექსტი წარედგინება მთავრობას.

საგამომძიებლო უბნების გადაცემა.

რადგან ზოგიერთმა ძველმა საუბნო გამომძიებელმა აქამდე არ ჩააბარა თავისი საქმეები ახლად დანიშნულ საუბნო გამომძიებელს, ამიტომ იუსტიციის მინისტრმა ტფილისის სასამართლოს უფროსს უბრძანა, დაუყოვნებლივ ჩამოერთვათ ძველ გამომძიებლებს ყველა საქმეები და გადაეცეთ ამ თანამდებობაზე ახლად დანიშნულ პირთ.

ბაქოს გარშემო

მკითხველებმა უკვე იციან, რომ ინგლისელები ბაქოში ნოემბრის 17-ს შევიდნენ. მასთან ერთად შევიდა ცნობილ ბიჩერახოვის რაზმი. რამდენისამე ხანს შემდეგ ჰაეროპლანებიდან ჩამოჰყარეს შემდეგი მოწოდება: „სალამი თქვენდა რუსეთის მოქალაქენო! მოქალაქენო, მტერი დავამარცხეთ. ყველა ერისათვის ახალი ხანა დადგა მშვიდობიანი ცხოვრებისთვის. ჩვენი დიდი რუსეთი, რომელიც ფეხზე დგება მოკავშირეთა დახმარებით და სდგება თავის ძველ საზღვრებში უკვე მრავალ ალაგას იწყებს განახლებულ და შემოქმედებითს ცხოვრებას, გაჭირულ მსხვერპლითა და მწუხარებით განწმენდილს. მოქალაქენო, რუსის და მოკავშირეთა ჯარების ბაქოში დაბრუნების ჟამს, მე მოუწოდებ ყველა პატიოსან მოქალაქეს დაივიწყონ თავიანთი პარტიული და პოლიტიკური სხვა და სხვაობა და მტკიცედ შეკავშირებულთ მთელი ძალღონე მიიტანონ ჩვენს ძვირფას, განაწამებ რუსეთის სასარგებლოდ და მით შეუმსუბუქონ მიზნის მიღწევა ჩვენს მოკავშირეებს და საშუალება მისცენ მათ თავიანთ სამშობლოში ჩქარა დაბრუნებისა.

რუსეთის საზღვაო და ხმელეთის ჯარების მთავარ-სარდალი კავკასიაში ლაზ. ბიჩერახოვი“.

„სონეტის გარშემო“

როცა ამ წერილს ვწერდი: რედაქტორმა მოლუშვით მითხრა: „რას ჩასცივდი“!.. „...განა ჰღირსო!“ და მერე „ცერცვის“ ანდაზა და „ჭინჭრაქას“ ზღაპარი მომაგონა რობაქიძის უჯიათობაზე. *)

—მაშ რა ვქნა, შევძახე, პატიოსნურად რომ ხვდებოდეს—ხმას როგორ ამოვიღებ, მაგრამ უბედურებაც ის არის, რომ თავის „დამტვრეულ ფრთების“ შესაკოწიწებლად — აღარაფერს აღარ ერიდება, განზრახ იწკილბაზობს და თუ გაზეთის ფურცლებზე არ გამოვამზევე მისი გონებრივი ავლადიდება: ახლა, დალოცვილო, კრივში ხომ არ გამოვიწვევ-მეთქი!

რედაქტორს ალბად ეგონა, რომ მე თუ დროს ვაგანდებ და ამდენს ველაპარაკები რობაქიძეს—ეხლანდელ რობაქიძეს ველაპარაკები: ნამდვილად კი მე ველაპარაკები იმ რობაქიძეს, რომელიც ოდესღაც „დიპლომით დატვირთული“ დიდი ზეიმ-ზარით ჩამობძანდა საქართველოში და თავისი „ცნობილი ლექტორობით“ ყურები გამოუჭედა ყველას.

მე ველაპარაკები იმ რობაქიძეს, რომელიც ქართველ საზოგადოების გამოჯავრებით ცნობილ გაზეთ „კავკაზის“ ფურცლებზე მოიკალათა, ხოლო როცა ყველგან „ლილო გაუხუნდა“ პოეტობაც კი დაიწყო, ალბად იმ იმედით, რომ „საფილოსოფოსო დიპლომი“ თუ გაუადვილებდა პარნასისკენ გზას.

რობაქიძე ერთში შესცდა. მას თავისი მოღვაწეობა უკანასკნელ გამოსვლით (ე. ი. ფუტურისტობით) უნდა დაეწყო, მან კი თავდაყირა გამოუდგა. ის განგებისაგან „მგოსნად“ იყო მოწოდებული, მან კი თავისი ჰარაქათი ფილოსოფიას შეალია და... ხომ მოგეხსენებათ „ჰარაქათ-გამოლეული“ პოეტი ვერ იპოეტებს.

⁂

რობაქიძემ კვლავ მიპასუხა. „ათასერთ ღამის“ ზღაპარი გახდა რაღა ჩვენი კამათი! მიპასუხა, მაგრამ ნეტავი არ ეპასუხნა თავისდა საუბედუროდ.

ჩამცივებია: მაინც და მაინც რაღა უხეირო სონეტები ამოიღე „ყანწებიდან“... აი, იაშვილის და დარიანის სონეტები უნდა გავერჩია, რომ დარწმულიყავ „ენციკლოპედიურ ლექსიკონში“ მოყვანილ სიტყვებშიო

მე აქ განგებ მოვიყვან „ენციკლოპედიურ ლექსიკონში“ მოყვანილ სიტყვებს: „...обязателенъ пятистонный ямбъ, такъ что С. долженъ заключать 154 слога, (რობაქიძეს სონეტებში კი 196 მარცვალია! ეს სხვათა შორის) Воспрещено повторять слово уже употребленное въ стихотвореніи“ (გვ. 859).

დაიხსომე, მკითხველო, ეს ბოლო სიტყვები და გაიხსენე ის რომ რობაქიძე იმიტომ იძახდა ჩვენს სონეტებს „არა სწორ სონეტს“, რომ შიგ, სხვათა შორის, სიტყვები ორჯელ არის განმეორებულიო!—მაგალითად აბაშელის სონეტის გარჩევის დროს ამბობდა: „ცეცხლი“ ორჯელ აქვს ნახმარი, „გრძნობა“ სამჯერ და სხვ..“ (იხ. მისი წერილი „საქართველო“ № 214).

---

*) ამ საგანზე ჩვენს გაზეთში ვხურავთ კამათს. რედ.

რობაქიძეს უკვე დაუმტკიცე, რომ ისეთი სონეტები, როგორსაც დღეს რობაქიძე და მისთანანი სწერენ (ე. ი. არა კლასიკური), უკვე არსებობდა ჩვენში. დაუმტკიცე და საბუთებად თავისივე სონეტები მოვუყვანე „ცისფერ ყანწებიდან“. დღეს კი გამომდგარა და მისაყვედრებს: „გრიშაშვილმა რატომ იაშვილის სამ სონეტს („მალარმე, ვერლენი, ვერჰარნ“) არ მიჰმართა, საცა სიტყვის განმეორებას ადგილი არა აქვსო!“

ნუ ჩქარობთ, ბატონო რობაქიძევ, მარტოკას არასოდეს არ დაგტოვებთ; თქვენ კალმა ტყუილში ერთხელ კი არ უნდა დაგიჭიროთ, არამედ ათჯერ და ათასჯერ, რომ მერე მიეთ მოეთობით აღარ იმართლოთ თავი!

საგულისხმიეროა მხოლოდ ერთი რამ, როცა რობაქიძე ამბობს:

„იაშვილის სამ სონეტში სიტყვის განმეორება არ არისო!“ ეჭვი მებადება, წაუკითხავს ხსენებული „სამი სონეტი“ თუ, როგორც სხვა ყველაფერი, ესეც „ბოლომდე გაუთავებელი“ დაურჩა?

მაშ მოდი, მკითხველო, დამალში ნუ ჩავაგდებთ რობაქიძეს და „მივმართოთ“ დარიანის და იაშვილის სონეტებსაც:

ჯერ დარიანის „ფერადი სონეტი“ ვნახოთ:

„მომდურავ თავადს მე ვიგონებ...
წაიღო კოცნა და სხვ...
არავის კოცნას არ ვიგონებ...
თეთრი თავადის დაბრუნება და სხვ.

ეხლა იაშვილის სამი სონეტი.

1) ვერლენს:
ბნელ ოცნებაში დასცურავდა მარხის გედი,
რომ მაისი ვერ დაუბრუნდა“ და სხვ.

2) ვერჰარნს:
„სახრჩობელები, კვამლი, სისხლი,
შენი აჩრდილი... ვით სისხლიანი“ და სხვ...

3) მალარმეს:
„ის იყო თეთრი, თავდახრილი...
ღვთაებრივ ხმებში ზამბახები თეთრად...
როგორც სონეტი თეთრ სხივებში“ და სხვ.

ეხლა მსურს მკითხველმა დასდოს მსჯავრი: რა არის ეს: ჭირვეულობა უმეცრება თუ მეტიჩრობა?

ნუ თუ ყველა მოპირდაპირეს ასე ექცევა ბატონი რობაქიძე? ნუ თუ ეს არის, მართალი სიტყვით მართლის თქმა? სად ჰქონდა, დალოცვილს, ან ლოღიკა, ან დაკვირვება, როცა ამბობდა: „**გრიშაშვილმა იაშვილის სონეტებს რად არ მიმართა, საცა სიტყვების განმეორებას ადგილი არა აქვსო?**“

შეიძლება—კვლავ ვიტყვი—სიტყვების ასეთი განმეორება არც ისეთი საფათერაკო იყოს სონეტისთვის, პირადად მე არცა ვარ მისი დოგმატიური დამცველი, მაგრამ თუ მხედველობაში მივიღებთ იმ კანონს, რომლითაც ბატონი რობაქიძე ჰხელმძღვანელობდა აბაშელის (და მათ შორის ჩემი) სონეტის გარჩევის დროს: რომ ხწორი არ არის, ვინაიდან სიტყვები მეორდებაო: მაშინ რობაქიძესაც არ უნდა გაემეორა სიტყვები, ან თავის კუდი—იაშვილიც—არ უნდა მოეყვანა მოწმედ და არ ეთქვა: „გრიშაშვილმა მხოლოდ ჩვენი უხეირო სონეტები გაარჩია, ის ვალდებული იყო მიემართა იაშვილის სონეტისთვის, საცა სიტყვის განმეორებას ადგილი არა აქვსო!“

ხომ დაინახეთ რომ „მივმართე“ ბატონო რობაქიძევ? ეხლა? რა გიყოთ?

არავითარ სასჯელს არ მოგცემთ; არც ლექსების წერას აგიკრძალავთ, არც „დიპლომში“ შეგეცილებით, მხოლოდ თუ მაგ სახეს ოდნავ სიწითლეს მოჰგვრი, მე ამითაც კი ვიქნები კმაყოფილი.

მაგრამ... აქლემი და გალია?
რობაქიძე და სირცხვილი?

⁂

წერილს აღარ გავაგრძელებ. ისედაც ბევრი მოუვიდა რობაქიძეს. მის ოკრობოკრო პასუხში ახალი არაფერია. თუ ეს მისი წერილი ჩემი „პასუხია“ მაშინ იმავე გაზეთში სხვა წერილებიც ჩემი პასუხი იქნება, და რომ საგანი როგორმე მიაფუჩეჩოს—საკითხს უფრო, აბუნდოვნებს, საბუთებს გვერდს უვლის და სრულიად უმიზეზოდ ჩემს „ბარაშკას“ ეხება —ვინ არ იცის, რომ „ბარაშკა“ ჩემი დაწერილია, მაგრამ **ხალხური** ვუწოდე მხოლოდ იმიტომ, რომ ეს ლექსი მეტად გავრცელებულია ხალხში **და ზოგიერთგან ხალხის მიერ გადაკეთებულ-გადასხვაფერებულიც.**

მე რობაქიძესავით ფლიუგერობას ხომ არ ვეწევი, რომ რომელ მხრის ქარმაც დამბეროს იქით [გადავიხარო? ფლიუგერობა არ არის, მაშ რა ჯანაბაა, როცა ამბობს: „გრიშაშვილის პოეტურობა ჩემთვის საინტერესო არ არისო!“

არა მართლა? რადის აქეთ? ქუთაისის სადამოს შემდეგ ხომ არა? (1918 წ 28 იანვარი!).

საწყალი რობაქიძე! ის კი არ იცის რომ იგი რახანია განიდევნა ხელოვნების ტაძრიდან, როგორც ქათაკმეველი კრიტიკოსი! ის კი არ იცის, რომ დღეს როგორც მის ქებას ისე ძაგებას, უკვე აღარავითარი ფასი არა აქვს საზოგადოების თვალში, გარდა იმ უჩინარ „ქართველ პოეტისა“ რომელსაც რობაქიძესავე მოწმობით: „მახვილი ინტელექტი და რჩეული განცდანი რომ ახასიათებს“ (!); გარდა იმ გაკეთებულ პოეტუნებისა, რომლებსაც ასე უმოწყალოდ ჰბერავს ხოლმე ჩვენი „ცნობილი და ნიჭიერი კრიტიკოსი!“—

გაჰბეროს! გაჰბეროს! და ილიასი არ იყოს: „ტიკს ხომ მხოლოდ მაშინ ჰბერვენ, როცა შიგ-არა-სდგას-რა!?

მე კი სხვა რაღა დამრჩენია, რომ იმ ერთი საბძელივით არ ვუთხრა ჩემ მტერმოყვარე კრიტიკოსს: „გამშორდი, ქარო, არც შენი შემოტანილი მინდა, არც გატანილი!“

მაგრამ არა!. ჯერ შტახსი და მურია საჭირო! სად წამივა? მე ის უკვე იღლიაში მყავს დამალული და ამაოდ დაიწყობს ფართხალს, ვერ გამისხლტება ხელიდან. აკი ვუთხარი:

ნუ შეხვალ, ნუ ებანები-მეთქი!
რა უნდოდა ნეტა? ჯიბრი?
ზაშუსტა! თუ ჯიბრია ჯიბრი იყოს!

ჯიბრს კი კედელი სჭირია, რომელსაც კეთილშობილურად უნდა მიატეხოს თავი!

ი. გრიშაშვილი

დემოკრატიული ორიენტაცია

თავიდანვე, როგორც კი თოფ-ზარბაზნები ახმაურდა და უდანაშაულო მოქალაქეთა სისხლმა დაიწყო ნთხევა, იმათ, ვისზედაც დამოკიდებული იყო დედამიწაზე საშინელი ჯოჯოხეთის დამყარება თითქოს იგრძნეს მთელი საშინელება დაწყებულ საქმისა და ყოველივე ღონე იხმარეს, რომ სხვისთვის გადაებრალებინათ ეს უდიდესი და მიუტევებელი დანაშაული კაცობრიობის წინაშე, ყველა იმის ცდაში იყო, რომ თავი აბრამის ბატკნად მოეჩვენებინა და სხვები კი ჯალათებად და მტარვალებად გამოეყვანა... იცოდნენ, რომ მეტად ცუდი საქმის მონაწილე იყვნენ; გრძნობდნენ, რომ მათი „საქმენი საგმირონი“ წარუხოცელ ლაქად ედებოდათ და არავის სურდა ასეთ სამარცხვინო საქმეში პირველობა, ინიციატორობა მიესაკუთრებინა. მოპირდაპირეთა წინააღმდეგ ბევრი, ერთობ ბევრი შხამით და გესლით აღსავსე სიტყვები წარმოითქვა; დიდი საბრალმდებლო ოქმები დაიწერა; ბევრი სხვა და სხვა „ფერის“ წიგნები გამოიშვა, მაგრამ მიუხედავად ამისა, ომის ღმერთი ყოველ დღე უთვალავ მსხვერპლს უფრო მეტის სიმკაცრით და გაშმაგებით იწირავდა. და ეს იმიტომ, რომ მართველი წრეები იმპერიალისტური იდეებით იყვნენ გაჟღენთილნი, ცხვრის ტყავში გახვეულ მგლებს მოგვაგონებდნენ; მათ მხოლოდ სხვების დაჩაგვრა, სხვებზე გაბატონება ესიზმრებოდათ, მხოლოდ სისხლი სწყუროდათ და სამართლიანობაზე და მაღალ იდეალებზე ლაღადი კი სიტყვის მასალა: მხოლოდ ლამაზი-გარეგნულად მომხიბვლელი ფრაზები იყო. ეს არა ერთხელ დაამტკიცეს მილიტარიზმით და იმპერიალიზმით გატაცებულ სახელმწიფოებმა; მათ არა ერთხელ ურცხვად გამოაშიშვლეს თავისი „კაცთ-ჭამია“ კბილები, არა ერთხელ სხვების „ჩასახრამუშებლად“ პირიც ფართოდ გააღეს და ეს სწორედ მაშინ, როდესაც თითქოს გამონახული იყო საერთო ენა უაზრო და საშინელი ვაკხანალიის შესაჩერებლად.

მხოლოდ ხალხი, დემოკრატია არ თანაუგრძნობდა გამეფებულ საშინელებას და ცდილობდა გონს მოეყვანა ის, ვისაც მართვა-გამგეობის სადავე ხელთ ეპყრა. მაგრამ მის სუსტ ხმას, თუმცა-ცა სამართლიანს, ანგარიშს არავინ უწევდა და ბოლო არ ელებოდა სიმხეცეს და ვერაგობას...

რუსეთის დემოკრატიამ გადატრიალების პირველ ხანებშივე ომის შეწყვეტა განიზრახა. მაგრამ მის კეთილშობილ განზრახვას თითქმის არავინ გამოეხმაურა. გერმანიაშიც გადატრიალებისთანავე დემოკრატიამ ომის მოსპობის ლოზუნგი წამოაყენა...

ერთი სიტყვით, როგორც კი ხალხი ჰხდება თავის ბედ-იღბლის მესვეური, ის აშკარად და გარკვეულად ამტკიცებს, რომ არ ჰსურს განაგრძოს წინანდელი კაცთ-ჭამია და ველური პოლიტიკა. და ეს არც გასაკვირია: დემოკრატია ვერ ეგუება სისხლის ღვრას, ძალადობას, უსამართლობას, მონობას და ბატონობას; მას ადამიანთა შორის სიყვარულის მთესველს, ძმობა-ერთობის, თავისუფლების და სამართლიანობის პრინციპის მატარებელს—არ შეუძლია მხარი დაუჭიროს ისეთ საქმეს, ისეთ მოქმედებას, რომელიც ყოველივე ამას ეწინააღმდეგება.

გერმანიის დემოკრატიამ ომი შესწყვიტა. მაგრამ, სამწუხაროდ, ის მაღალი იდეები, ის სამართლიანი პრინციპები, რომელთაც დემოკრატია აყენებს ვერ პოულობს გამოხმაურებას მოკავშირეთა იმპერიალისტურ წრეებში. ამის საწინააღმდეგოდ, იქ არის გამეფებული გაბატონების, ჰეგემონიის სურვილი, იქ ჩაყლაპვის მისწრაფებაა, იქ დიდი მადაა გაღვიძებული...

ყოველი ნამდვილი დემოკრატი წინააღმდეგი უნდა იყოს ისეთი განწყობილებისა, რომელიც ხელს შეუშლის ერთა მეგობრულ თანამშრომლობას და ძმობა ერთობის დამყარებას; წინააღმდეგი უნდა იყოს ისეთი ზავისა, რომელიც ერთის დაჩაგვრას და დამცირებას გამოიწვევს, მეორეს კი—გაბატონებას და ამაღლებას.. ეს იმიტომ, რომ დაჩაგრული და დამცირებულნი თავის განთავისუფლებაზე, შეურაცყოფილ თავმოყვარეობის აღდგენაზე დაიწყებენ ზრუნვას და საომარ სამზადისს შეუდგებიან; და კაცობრიობის წინაშე ხელ-ახლა უსაშინლესი საფრთხე აღიმართება, ხელ-ახლა ცრემლის ტბები და სისხლის ოკეანეები იქმნება მოსალოდნელი...

ყოველი ნამდვილი დემოკრატისთვის სასურველია ზავი სამართლიან პრინციპზე აგებული, ზავი კაცობრიობის სწორუფლებიან წევრთა შეთანხმებიდან წარმომდგარი; სასურველია ზავი საერთო საკაცობრიო ოჯახის შექმნით და არა მჩაგვრელთა და ჩაგრულთა, ბრძანებელთა და ყრმათა წარმოშობით..

საერთაშორისო დემოკრატიას სჭირია ისეთი ზავი, რომლის წყალობით არ იქმნება საჭირო ომისთვის ფიქრი და სამზადისი, არამედ შესაძლებელი გახდება სახელმწიფოთა მეგობრული თანამშრომლობით და საერთო ძალ-ღონით კულტურული კაცობრიობის წარმატება და განვითარება. ერთი სიტყვით, დაღლილ-დაქანცულ კაცობრიობას, რომელმაც კარგად იგემა „სიტკბოება“ უკანასკნელი დროის საშინელებისა, ესაჭიროება ზავი არა ვისიმე განადგურების, დამცირების და შურისძიების, არამედ სამართლიანობის და თავისუფლების...

ეს არის არა გერმანული ან რომელიმე სხვა ქვეყნის ორიენტაცია; არა, ეს არის კაცობრიობის წინმსვლელობის და წარმატების, მშვიდობიანობის და სიყვარულის, თავისუფლების და ძმობა-ერთობის ორიენტაცია! მაშასადამე, ეს არის ყველა ქვეყნისთვის ხელ-საყრელი და სასარგებლო და დემოკრატიისათვის ერთად ერთი მისაღები და დემოკრატიული, და ამ ორიენტაციას საჭიროა მხარი დაუჭიროთ.

ვ. კაკაბაძე

წერილი სოხუმიდან

რევოლიუციის შემდეგ საქართველოს საუკეთესო ნაწილი—სოხუმის ოლქი შექნა ბრძოლის ასპარესად მრავალი პოლიტიკური მიმდინარეობისა და ავანტიურისა. ჯერ ბოლშევიკების ურდოები ანადგურებდნენ ქალაქებს და სოფლებს, შემდეგ ტატაში მარშანიასი და ალექსანდრე შერვაშიძეს შემზადებული ავანტიურა და ბოლოს ამ ავანტიურის გამომახილი შეთქმულება პატარა კაცუნებისა: ივანე მარლანია, პოლკ. ჩხოტუასი და აზნაა—თუმანოვისა. მაგრამ მამაცურმა მოქმედებამ ჩვენი ჯარისა ჩააქრო ის სწრაფად. ოქტომბრის 9-ს, არის ისტორიული დღე აფხაზეთის მშრომელი ხალხისათვის, რადგანაც ამ დღეს დემოკრატიამ სასტიკად დაამარცხა ის რეაქციონური ელემენტები, რომლებიც იყვნენ თავმოყრილნი აფხაზეთის სახალხო საბჭოს გარშემო. ჩვენ შეიძლება სულ სხვა აზრისა ვიყოთ აფხაზთა საბჭოს დემოკრატიული პრეზიდიუმის შესახებ, მაგრამ იმის უარყოფა არ შეგვიძლია, რომ მან ბოლოს მაინც გამოიჩინა იმდენი სიმამაცე გაბედულობა და მისცა საშუალება ჩვენი ჯარის ნაწილებს თავისუფლად ემოქმედა რეაქციონური ელემენტების ასალაგმავად. პირველი გადატრიალების შემდეგ, არ შეიძლება ითქვას, რომ საბჭომ სავსებით უარყო თავისი ფარული ავანტიურისტული მოქმედება და დააყენა აფხაზეთის ხალხი სწორი, სამართლიანი გზას. რადგანაც, თუ პირველი საბჭო გზავნიდა თავის წარმომადგენლებს ოსმალეთის მთავრობასთან და სთხოვდა მას დახმარებას, მეორე კი ალექსეევთან. ბევრი აბრალებს ასეთი მოქმედებას საბჭოსი—მის ხელმძღვანელებს. შეიძლება ეს სავსებით არ იყოს მართალი მაგრამ ერთი რამ საეჭვო არ არის: საბჭოს თავმჯდომარე ექიმი ვარლამ შერვაშიძე გამოდგა მეტის-მეტად მოუმზადებელი, გაუბედავი და თავისი მოქმედებაში ბუნდოვანი, გამოურკვეველი.

თუმცა მან აღიარა თავისი თავი მენშევიკ-სოციალ-დემოკრატად მაგრამ დამეთანხმებიან თვით სოხუმელ სოც.-დემოკრატები, რომ არაფერი სოციალისტური და მგონია არც სალი დემოკრატიული გამოუჩენია ვარდ. შერვაშიძეს თავისი რევოლიუციონური მუშაობაში. აფხაზთა ეროვნულ საბჭოში მან ვერ შესძლო გამოერკვია თავისი შეხედულება აფხაზეთის ორიენტაციის საკითხში. არ შეგვიძლია დავწამოთ ორ სკამზე ჯდომა, მაგრამ არც იმას ვიტყვით, რომ ის მტკიცედ იჯდეს ერთ გარკვეულ დემოკრატიულ სკამზე.

ამის მიზეზები უნდა ვეძიოთ თვით აფხაზთა ინტელიგენციის ფსიხოლოგიაში. მართალია ეს ინტელიგენცია ძალიან მცირე რიცხოვანია, თითქმის არ შეიძლება მას უწოდოთ ინტელიგენცია, რადგანაც ორიოდე მღვდელი და წერა-კითხვის მცოდნე სოფლის მასწავლებელი ხომ არ არის ინტელიგენცია, მაგრამ უკუღმართმა ბედმა მას არგუნა აფხაზეთის ცხოვრების მესვეურობა და ამაში გამოიხატება ის ტრაგიზმი მეგრელ-აფხაზთა ურთიერთობისა, რომელიც ეხლა არსებობს.

როდესაც ჩვენმა ჯარმა დაამარცხა ალექ. შერვაშიძის და ტატაში მარშანიას ურდოები კოდორის უბანში, აფხაზეთის ინტელიგენციისათვის აშკარა გახდა, რომ იმ გზით, რომელიც აირჩიეს, ვერაფერს გახდებიან აფხაზეთის „განთავისუფლებისათვის“ ქართველებისაგან და იბრუნეს ცხვირი ტუაფსემდე მოსულ გენერალ ალექსეევისაკენ

ამ ახალი ორიენტაციის ხელმძღვანელად გამოვიდა აფხაზთა სახალხო საბჭოში არსებული „სოციალისტური ფრაქცია“. ამ უკანასკნელი ორიენტაციის ამორჩევის შემდეგ აფხაზეთის ინტელიგენცია არ დარჩენილა ბრძოლის ველზე მარტოდ მას მიემხრნენ რუსობა და სომხობა, განურჩევლად მიმართულებისა ზ—ვი და ხაჩატ—შან დაამხანაგდნენ. კრებები იმართებოდნენ ყოველდამე, მუშაობა გაჩაღებული იყო როდესაც ყველაფერი იყო დამზადებული, საჭირო იყო მოგროვილი ძალების შემოყვანა სოხუმში, რადგანაც მინისტრი აფხაზეთის საქმეებიე ბატ. პოლკოვნიკი ჩხოტუა ჩამობრძანდა ტფილისიდან და გადატრიალება უნდა მომხდარიყო შეიარაღებული ძალის მონაწილეობით.

საბაბი შეიარაღებული ძალის შემოსაყვანად მონახეს. სოოლქო კომისარმა ივ. მარლანიამ მოისურვა დაცემული პრესტიჟის აღდგენა ის ბევრი ხანი იყო, რომ თავისი სანჩო-პანჩოებით დადიოდა სოფლებში და ჰკრიდა იარაღს იმ სოფლებს, რომლებიც არ იყვნენ მათი აზრით საიმედო. ერთად-ერთ სოფელში, ბერძნებმა დაუპატიჟებელ სტუმარს სროლით უპასუხეს. დაფრთხალმა კომისარმა დაყარა იქვე ყველაფერი და გამოიქცა სოხუმს სოხუმში სასწრაფო სხდომის შემდეგ „სოციალისტურმა ფრაქციამ“ დაადგინა დაუყოვნებლივ იქნეს აღდგენილი ავტორიტეტი კომისარისა და დამორჩილებული თავხედი ბერძნები. კომისარმა შემოიყვანა ქალაქში თავისი შეიარაღებული ბანდა და მიადგა იმ სოფელს. მაგრამ აქაც უმტყუნა ბედმა. ბერძნები კიდევ უფრო ყოჩაღად დაუხვდნენ კომისარს ხანმოკლე სროლის შემდეგ სრულიადაც გაფანტეს მისი „ჯარი“ ეს ამბავი მოედო მთელ ქალაქს და ხელმეორედ დამყარდა შიშიანობა.

საქმე მეტად რთულდებოდა და ადვილი შესაძლებელი იყო იარაღის ჩამორთმევას გამოეწვია სისხლის ღვრა და არეულობა, სანაპირო შტაბის უფროსმა აუკრძალა კომისარს სოფლებში თავხედი მოქმედება, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი იძულებული იქნებოდა ჯარის საშუალებით აელაგმა კომისარი უკანონო მოქმედება, რომელიც იწვევდა მთელი ბერძნობის არეულობას შტაბის უფროსმა თავისი გადაწყვეტილება აცნობა აფხაზთა სახალხო საბჭოს უფროსს ვარლამ შერვაშიძეს და სთხოვა მას მოეხდინა თავისი გავლენა კომისარზე, რადგანაც წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლებელი იყო შეტაკება მილიციონერების და ბერძნებისა. მაგრამ ბატ. ვარლამ შერვაშიძემ ვერ გამოიჩინა შესაფერისი მოქმედება ბოლოს ვარ. შერვაშიძე აღმოჩნდა დემოკრატიის წრეში, ეს იყო მისი ძალაუნებური ნაბიჯი და არა სხვა რამე. დანარჩენი შემდეგ.

პარტიზანი.

საქართველოს პარლამენტი

ერთი უმთავრესი წინადადება სოც.-დემ. ფრაქციას ეკუთვნოდა. ისინი მოითხოვენ, რომ ჩვენს საკანონმდებლო დაწესებულებას საქართველოს პარლამენტი ეწოდოს. საკონსტიტუციო კომისიამ, სადაც ირჩეოდა ეს კანონი და რომლის ერთი წევრი მე გახლდით, გადასწყვიტა ჩვენს საკანონმდებლო ადგილს დაერქვას ეროვნულ საბჭოს დარბაზი. ეს სიტყვა შეეფერება სტილის მხრივაც და განსაზღვრავს შინაარსსაც. პარლამენტი თავის თავად ევროპის ყველა ასეთ დაწესებულებას ჰნიშნავს, მაგრამ მათ თავის საკუთარი სახელიცა აქვთ მაგალითად: „რეიხსტაგი“, „რიგსტრატ“ „რეიხსტრატი“ და სხვა მრავალი. სიტყვა **დარბაზი** კი ტრადიციულად გვაახლოვებს საკანონმდებლო დაწესებულებასთან თუმცა მრავალი ტრადიცია მავნებელია და უარსაყოფი, მაგრამ ის ტრადიცია, რომელსაც წარმატებისაკენ მიჰყავს სახელმწიფო, უნდა შევითვისოთ და სახელმძღვანელოდ გავიხადოთ.

მესხ-ჯავახელი ლტოლვილნი

ამას წინად ქუთაისში ვნახე ლტოლვილები მესხეთ ჯავახეთისა. მე როგორც მესხეა (ქ ახალციხელმა) რა საკვირველია ბევრი ვიცანი.

ერთ ჯავახელს დაუწყე ლაპარაკი, საუბარი

— რომელ სოფლიდან, ან ქალაქ დან ხართ გამოქცეული და რა გვარი ხართ?

— „ფრანგი“ ვარ „ფრანგი“ და კიდევ რაღაც უნდა ეთქვა, მაგრამ მე გავაწყვეტინე ლაპარაკი ..

— მაშ თქვენ „ფრანგი“ ხართ, აბა ერთი მითხარით საფრანგეთის რომელ ქალაქიდან მოხვედით? ქართული ლაპარაკი სად ისწავლეთ?

— არა, შე დალოცვილო, „ფრანგი“ ვარ, „ფრანგი“, კათოლიკე, ჯავახეთის სოფელ ხიზაბავრიდან, ახალ-ქალაქის მაზ. იობი მქვიან, გოგოლაძე ვარ გვარად.

— მაშ თქვენ ყოფილხართ ქართველი, ტომით ქართველი და სარწმუნოებით კათოლიკე ე. ი. ქართველ-კათოლიკე.

— დიაღ, შენი ჭირიმე, სწორედ ამბობთ.

— რად უწოდებთ „ფრანგებს“ თავს?

— რა ვიცი შე დალოცვილო, მე უსწავლელი სოფლის კაცი ვარ, წერა-კითხვა არ ვიცი.

ჩვენმა მღვდლებმა გვასწავლეს, რომ ჩვენ „ფრანგები“ ვართ.

ჩვენს ეკლესიებში სომხურ ენაზეა—„ტერმოღორმიას“ იძახიან ხოლმე ჩვენ სომხური არ გვესმის. მხოლოდ კვირა დღეობით, წირვის დროს სახარებას წაიკითხავენ ხოლმე ქართულად და ქართულად იქადაგებენ ჩვენი მღვდლები და აი, მაშინ გავიგებთ ხოლმე ქრისტეს სწავლა-დარიგებას.

ზემო აღნიშნულ გოგოლაძის გარდა მათთან ერთად ვნახე იმავე სოფლის ქართველ-კათოლიკეები ნინა ფალიაშვილი, კატო ხუციშვილი და ლიზა შემაზერიძე გოგოლაძეს წამოეყვანა თან ორი სამი წლის ბავშვი, თავისის ძმის შვილი, რომელიც მისი ოჯახითურთ დაუხოცავთ თათრებს. ფალიაშვილთან თუ ხუციშვილთან იყო სოფ. დადეშიდამ, ახალქალაქის მაზ. წამოსული ქალიშვილი, 10 წლისა ქართველ-მართლმადიდებელი მზექალა ბერიძე. ამ პატარამ არ იცოდა მშობლები ცოცხალი დარჩნენ თუ თათრებმა დახოცეს.

შემდეგ გამოვკითხე გოგოლაძეს ჯავახეთის ამბები. მან დაწვრილებით მიამბო ცრემლიანი თვალით, თუ რა განიცადეს: ტანჯვა, წვალება, მშუხარება-ქალწულების დედ-მამის თვალ წინ გაუპატიურება, ხოცვა-ჟლეტა და სხვ.

სომხებს ქართველებიც მიგვაყოლეს და ვინც ვერ გამოიქცა, ამოჟლიტეს თათრებმა.

შემდეგ გოგოლაძემ მიამბო თუ რა აუტანელ ტანჯვა-წვალებას განიცდიან მესხეთ-ჯავახეთის ლტოლვილები ბაკურიანში: შიმშილით, სიბინძურით უსახლკაროთ ცის ქვეშ იხოცებიანო.

ჩვენ არავინ გვეხმარება, სომხებს—ლტოლვილებს კი ვიღაც მონოშოვი (მანთაშევი) დიდს ფულს უგზავნის.

ამ უმაგალითო ომმა სამი სახელმწიფო შეიარაღა.

საჭიროა მთავრობის მზრუნველობა საქართველოს სხვა და სხვა კუთხეებში გაფანტულ მესხ-ჯავახელთადმი.

მესხი პ. გურგენბეგიშვილი.

ღალის აკრეფა სოფლად

დაუჯერებელ საქმეებს სჩადიან მთავრობის დანიშნული „სოციალ-დემოკრატები“ სოფლად. მოგეხსენებათ სოფლად, მემამულეებისგან ჩამორთმეულ მამულებზე მთავრობამ თავისი რწმუნებულები დანიშნა ღალების მოსაკრებად. აი საქმენი საგმირონი ამ ცრუ სოციალისტების რომლებმაც თავიანთი, სოციალ დემოკრატიული იარლიკით მთავრობა შეცდომაში შეიყვანეს და დემოკრატიულ რესპუბლიკას სახელი გაუტეხეს. გარე კახეთში ღალების მოსაკრებად დანიშნულია მთავრობისაგან კარგად ცნობილი ს. დ. ვ. ყანჯარაშვილი, ეს „ამხანაგი“ როცა დარწმუნდა ღალებს ვერ მოვკრებო, დაიბარა ს. საგარეჯოდან გვარდიელები, და დაიწყო ხალხის რბევა. ყველას ართმევს ცემა-ტყეპით და ზედაც თითო ლიტრას ზედმეტს გვარდიელების სასარგებლოდ, ვაი იმას, ვინც კრინტის დაძვრას გაბედავს. სულ მათრახით აპრელებენ. დედა-კაცებსაც არ ინდობენ. რამდენიმე დედაკაცი ნაცემია. ზოგს რევოლვერით გამოედევნა ვ. ყანჯარაშვილი.

იყო შემთხვევა, რომ გლეხს ექიმის მისაყვანად ცხენი მიჰყავდა. არ შევიდნენ ავადმყოფის მდგომარეობაში, კაცი გადმოაგდეს და თითონ შებრძანდნენ.

ვეკითხები ჩვენს დემოკრ. მთავრობასა იცის თუ არა რომ ს. თოხლიაურში და მანავში ამისთანა საქმეები ხდება ვ. ყანჯარაშვილის მეთაურობით? სასურველია მთავრობამ გამოძიება დანიშნოს და ამ საქმის მოთავენი სასტიკად დასაჯოს, არა ერთი ალაგიდან მეორეზედ გადაყვანით, არამედ სისხლის სამართლით; თორემ თუ ეს საქმე ესე დარჩა და დამნაშავე არ დაისაჯა, მთავრობა მთლად დაჰკარგავს ნდობას ხალხის თვალში. ამ საქმეზედ აგენტი დ. პ. ეპიტაშვილიც არის დანიშნული და მოვალე იყო ყველა ეს მთავრობისათვის ეცნობებინა.

ნაცნობი.

P. S. „ერთობას“ ვსთხოვ ეს წერილი გადაბეჭდოს.

კარგი გადაწყვეტილება

სულ ერთ წელიწადია რაც თვით ამხანაგები განაგებენ საამხანაგო ღვინის „საეროო“-ს სავაჭროს (შარშანდლამდე ერთს გარეშე პირს ჰქონდა დაჩემებული) და გარდა იმისა, რომ კახეთის რამდენიმე სოფლის გლეხობის ღვინოს მოუპოვეს ბაზარი, კერძო ვაჭრები აიცდინეს თავიდან, თავიანთი მხოელი მხარეც არ დაივიწყეს და წარსულ თვეს სოფელ წინანდალში ამხანაგობის საზოგადო კრებაზე გადასწყვიტეს: მოგებიდან გადაიდოს და დაარსდეს თანხა, რომლის სარგებლითაც ეძლიოს დახმარება იმ ორ ქართველს, რომლებიც მოიწადინებენ უმაღლეს სასწავლებელში შესწავლას: ერთი მეღვინეობის და მეორე მეურნეობას: ხოლო სანამ ეს თანხა მოგებიდან შესდგებოდეს, გადაიდოს ყოველ წლიურად 1200 მან. თანხა ინახებოდეს სამეურნეო ბანკში და ამა წლიდანვე 1200 მ. ეძლიოს წერა-კითხვის საზოგადოებას ამის სისრულეში ეხლავე მოსაყვანად.

ეს ნიშანია ჩვენი ხალხის შეგნებისა, რაიც ზოგიერთ ვაჭრებისათვის მისაბაძი მაგალითია.

ს. ტარუაშვილი.

სია

ქართველი ტყვე ოფიცრების, ჯარისკაცების და კადეტების, რომელნიც მოსკოვიდან ჩამოვიდნენ.

პოდპორუჩ. ი. დავითაშვილი, კაპიტანი ფაველენიშვილი, პრაპორჩ. ჟორდანია, პრ. არზიპოვი, ექიმი მუსაილოვი, ექიმი გლიავა, ექიმი ლოლაძე, მოწყალების და ფავლენიშვილი, სალდათები: განჯელაშვილი, ჩახულაშვილი; ბაზარაშვილი სალია, ჯიბუტი, აბაშაშვილი, ნიკაბაძე, ძიძიგური, კუპრავა, უნარკოშვილი, უგრეხელიძე, კობახიძე, კადეტები: ვორონეჟის კორპუსისა; კობახიძე, ლადიძე, ნაოვლიშვილი, ბოლქვაძე. მაჭავარიანი, წულუკიძე, იაშვილი, ნოდია, გოგობერიძე.

ინფლუენცია

(„ესპანიური ავადმყოფობა.“)

ამ ჟამად ჩვენში საშინლად გავრცელებულია და მძვინვარებს ეგრედ წოდებული „ესპანიური ავადმყოფობა“. იშვიათი ოჯახი თუ მოინახება, რომელშიაც არვინ ყოფილიყოს ავად და საუბედუროდ ბევრსაც იმსხვერპლებს.

სხვათა შორის ერთ-ერთი მიზეზი ამ სამწუხარო მოვლენისა ისიც არის, რომ მას არ უწევენ ღირსეულ ანგარიშს, რადგან მიაჩნიათ უბრალო ავადმყოფობად, რომელიც რამდენიმე დღეში გაივლის. გარდა ამისა, ვინაიდან ამ პანდემიის*) დროს ხშირად სხვა არა ნაკლებს სერიოზულ ავადმყოფობასაც, მაგალითად საოფლეს, შებრუნებულ ტიფს და სხვას „ისპანკად“ ნათლავენ, აღარც ამ გვარ ავადმყოფებს უვლიან სათანადოდ და რა თქმა უნდა, რიცხვი მსხვერპლისა ამის მეოხებით ბევრად იზრდება.

ამისთვის ზედმეტად არ მიგვაჩნია გავაცნოთ ცოტად თუ ბევრად მკითხველი ხსენებულ სენს, რასაკვირველია რამდენადაც ეს შესაძლებელია საერთო პრესის ჩარჩოებში.

ინფლუენცია იგივე „ესპანკა“ წარმოადგენს საშინლად გადამდებ სენს და ვრცელდება იმ გვარი სისწრაფით, როგორც თითქმის არც ერთი სენი.

მის ფრიად საინტერესო თავისებურებას შეადგენს ის თვისება, რომ იგი არსებობს ჩვეულებრივადაც და მითი შიგა და შიგ „ავად ყოველთვისა ხდებიან, მაგრამ ამავე დროს საუკუნეში ერთხელ ან ორჯერ, რაღაც ჯერ სავსებით შეუსწავლელ მიზეზების გამო, ინფლუენცა სრულიად მოულოდნელად იცვლის თავის ბუნებას, იღებს მკაცრ ხასიათს და ედება ერთბაშად ქალაქებს, სოფლებს, სახელმწიფოებს და თითქმის მთელ კაცობრიობას. გავა შემდეგ რამოდენიმე ხანი ინფლუენცა თანდათან ისევ კარგავს თავის ფრიად გადამდებ ხასიათს და იქცევა ისევ ჩვეულებრივ ავადმყოფობად, ასეთი იყო მაგალითად მე-19 საუკუნეში, უკანასკნელი პანდემია ინფლუენციისა 1889 წელს. მაშინაც იგი მოედვა მთელ ევროპას და მაშინაც, რო გორც დღეს მას უწოდებდენ „ახალ ავადმყოფობას“.

დღეს ჩვენ მოწმენი ვართ მორიგ ინფლუენციის პანდემიისა, როდესაც იგი გავრცელდა მთელ ევროპაში და მოგვევლინდა ჩვენც „ახალ“ ავადმყოფობის, „ესპანიური“ სენის სახით.

პანდემიის დროს ხსენებული სენი უმეტესს შემთხვევაში ეკიდება ადამიანს უეცრივ, უფრო ხშირად საღამოს ჟამს. (ამისთვის, სხვათა შორის, ფრანგები მას უწოდებენ გრიპპ-ს სიტყვა „გრიპ“ ვტაცებ.) ადამიანს ჯერ ერთბაშად გააცივებს, შემდეგ დღე-ღამის განმავლობაში სიცხე თანდათან იწევს და ადის 39—40 გრადუსამდე, ავადმყოფი ძალზე სუსტდება—გრძნობს საერთო მოწყვეტილებას და ტკივილებს მთელ სხეულში: იტკივებს თავს, ბეჭებს, წელს, მუხლებს, აგრეთვე თვალებს. იმავ დროს ან რამდენიმე დღის შემდეგ აწყებინებს ხველას. ამას ზედ ერთვის სურდო: არა იშვიათია ცხვირიდან სისხლის დენაც. იტკივებს ხანდახან ყელს და ენა იღებს ერთგვარ მუქ-წითელ, ალუბლის ფერს.

ასე მდგომარეობას განიცდის ავადმყოფი ორ-სამ დღიდან ორ კვირამდე (ხან ცოტა მეტს ხან ნაკლებს), რომლის განმავლობაში ყველა ზემოთვლილი ნიშნები თანდათან ნელდება: ტკივილები იკარგება, სიცხე ნელ-ნელა იწევს ძირს და დავა ნორმალ დონეზე. სიცხის დაწევის შემდეგ კიდევ აწუხებს ავადმყოფს ცოტაოდენი ხველა და კარგა ხანს გრძნობს საერთო სისუსტეს.

მაგრამ არა იშვიათად ავადმყოფობა, საუბედუროდ, უხვევს აღწერილ მიმდინარეობას, რთულდება: ანთება გადადის ყელიდან ყურზე, ტვინზე, ნერვებზე, ერთი სიტყვით, ყოველ იმ ორგანოზე, რომელიც ამა თუ იმ ავადმყოფს დასუსტებული აქვს.

უმეტესად კი გადადის ფილტვებზე და აი ამ შემთხვევაში იგი უკვე აყენებს მას ფრიად საშიშ მდგომარეობაში.

შედარებით ძნელად იტანენ „ახალ ავადმყოფობას“ კახელები და მეტადრე მეგრელები. ალბად ეს იმით თუ აიხსნება, რომ სამეგრელოში მეტად გავრცელებულია მალარია, რომელიც იქ უფრო ძლიერი თვისებისაა, ვიდრე სხვა ჩვენ სამშობლოს კუთხეში. ამიტომ მათი სხეული ბევრი ალაგი და კერძოდ ნერვიული სისტემაც, რომელსაც მალარია ძლიერ ავნებს თავის შხამით, წარმოადგენს ერთგვარ ნაკლებ წინააღმდეგობის ადგილს.

საგულისხმოა კიდევ ის გარემოება, რომ ინფლუენცა მოკლებულია თვისებას, რომელიც შეადგენს აუცილებლობას თითქმის ყველა დანარჩენ გადამდებ ავადმყოფობისათვის—ერთხელ მითი ავად გახდომა და მისი გადატანა არავითარ გარანტიას არ იძლევა კვლავ არ გამეორდეს.

ნამეტნავად სიფრთხილეა საჭირო ავადმყოფობის დროს სიცხის დაწევის შემდეგ პირველ ოთხ ხუთ დღეს, რადგან ამ დროს სენი უეცრივ მეორდება და ევლინება ადამიანს უფრო მკაცრად.

ინფლუენციას იწვევენ პაწაწინა ბაცილები სახელწოდებით „პფაიფერის ჩხირები, ეს ჩხირები იმყოფება სხვათა შორის ინფლუენცით ავადმყოფის ნახველში და აგრეთვე მის ცხვირის ხილთაში. თუმცა ხშირად იგი არ აღმოუჩენიათ ისეთ ავადმყოფისათვის, რომლის კლინიკური სურათი წარმოადგენს უეჭველად ინფლუენცას. რამდენადაც ვიცით, არც ამ ეპიდემიის დროს აღმოუჩენია ვისმე ტფილისში ეს ბაცილები, რაც, რასაკვირველია, იწვევს ბევრგვარ გაუგებრობას.

შესანიშნავია ამავე დროს ის ფაქტი რომ ინფლუენციის ჩხირები აღმოუჩენიათ საღ ადამიანებზედაც. ეს კი ხებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ადამიანს შეიძლება ინფლუენცა შეხვდეს, მის ბაცილს ატარებდეს და ამავე დროს თვითონ ავად არ გახდეს. ამ გვარ „ბაქტერიების მატარებელს“, რასაკვირველია, ადვილად შეუძლია გადასდოს სხვას, თუმცა თითონ იყოს საღად.

სწორედ ეს გარემოებაა ერთ-ერთი იმის მიზეზი, რომელიც ასე აბრკოლებს მასთან წინასწარ საწინააღმდეგო ბრძოლას და დღემდის ჩვენ არც გაგვაჩნია რამე რადიკალური ზომა.

ყოველ შემთხვევაში საჭიროა მიღებულ იქნას შემდეგი ზომები:

1. რაც შეიძლება მოვერიდოთ ინფლუენციით ავადმყოფთ.
2. თუ გვიხდება ავადმყოფის ან რამე მისგან ნახმარი ნივთის ხელის ხლება—საჭიროა დავიბანოთ ხელი საპნით და რომელიმე სადეზინფექციო სითხით (მაგალითად 3 პროც. კარბოლის სიმჟავით).
3. ავადმყოფის ნახველი უნდა გროვდებოდეს ქურქელში, რომელშიაც სდგას დეზინფექციონური სითხე (მაგალითად 5 პროც. კარბოლის სიმჟავე).
4. თეთრეული ავადმყოფისა უნდა გამოიხარშოს ადუღებულ ცხელ წყალში. სხვა ტანსაცმელი და ლოგინი გამომზევდეს.
5. ქურქელი ავადმყოფისა უნდა ირეცხებოდეს ცალკე და გადაევლოს ცხელი წყალი.
6. ინფლუენციის ავადმყოფი მაშინვე უნდა დაწვეს, ეხუროს თბილად და არ ადგეს სიცხის დაწევის შემდეგ 4—5 დღის განმავლობაში
7. რადგან ინფლუენცა ხშირად ძლიერ ვერაგ თვისებისაა და იღებს მოულოდნელად საშიშ მსვლელობას, საჭიროა დროზე საექიმო დახმარება და თვალყურის გდება.

და ბოლოს უნდა აღვნიშნოთ, რომ რამოდენიმე პროფილაქტიური (წინასწარი ზომა) მნიშვნელობა აქვს აგრეთვე ქინაქინას.

სხვათა შორის ტფილისის სამხედრო ჰოსპიტლის პერსონალი, რომელიც უვლის ინფლუენცით ავადმყოფთ, იღებს ყოველ დღე 0,4 ქინაქინს.

და ყველა, ვინც-კი დაემორჩილა ამ ზომას ჯერჯერობით ავად არ გამხდარა და თუ გახდა ვინმე ძლიერ მსუბუქად—ცოტა ხველება დააწყებინა.

ურიგო არ იქნება, რომ ამ ზომას ყურადღება მიაქციონ ჯარის ექიმებმა, რომელთაც ძალუძთ მის უფრო ფართოდ დაყენება. მით უმეტეს, რომ ჯერ ერთი—ქინაქინი, რამდენადაც ვიცით, საკმაოდ მოგვეპოვება სამხედრო სააფთიაქო საწყობებში და მეორე—დიდძალი ჯარისკაცი დასნეულებულია მალარიით, რაც თავის-თავად მოითხოვს მათ პერიოდულ ქინიზაციას.

ექიმი ნიკ. მახვილაძე.

---

*) პანდემია ეწოდება სენის გავრცელებას, როდესაც იგი იღებს ფართო მასიურ ხასიათს და ვრცელდება დიდ სივრცეზე, მთელ მსოფლიოში-

შემოწირულება

უმორჩილესად გთხოვთ, ბ. რედაქტორო ეს წერილი სიითურთ მოათავსოთ და ეს ათი თუმანიც გადასცეთ საქართველოს უნივერსიტეტს. კვირას, ნოემბრის 10-ს, ქვემო წმ. ბარბარის ეკლესია-ში მონათლეს ვლადიმერ კონსტანტინეს ძე სობოლევი. სუფრაზე. მისი ნათლობის სახსოვრად შეკრიბე ეს ათი თუმანი. შემომწირველნი: დეკ. ვას. კარბელაშვილი 5 მ. და იოსებ გარდაძე 5 მან. კოსტა სამხარაძე, ვანო სტეფანოვი, თედო სიჭინავა, კოზმა დოლიძე, კოსტა დარდანიძე, დათიკო აბზიანიძემ და გიორგი კახრამლი ათ-ათი მანეთი და კონია ბაქრაძე 20 მან. სულ 100 მ., რისთვისაც მადლობას უძღვნით შემომწირველთ.

დეკ. ვას. კარბელაშვილი,

გამომცემელი
სამსონ ფირცხალავა.
რწმუნებული მთავარ კომიტეტისა.

ლივიტანოვის დიპლომი

ვასწავლი ყოველგვარ ჭრა-კერვას როგორც ქალისას ისე კაცისას და ბავშვებისას. მრავალ ფეროვან ნაქარგს, „გლადი“, ნარდვენი, და სხვა. ამასთანავე ვიღებ შეკვეთილებს: კაბებს, პალტოებს, თეთრეულს; კაცის ტანისამოსს: ჩერქეზულ, იმერულს და გურულს. ვასრულებ სინდისიერად და ხელმისაწვდომ ფასად.

გორის ქუჩა, № 18. 2278

ექიმი ლ. ა. ხარაძიძე იღებს ყოველ დღე შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ, საღამოს 6—8 საათამდე. კვირაობით დილის 9—12 ს ჩერქეზიშვილის ქუჩა № 37. ავჭალის აუდიტორიის ახლო. 2105

ექიმი მ. მუსხელიშვილი იღებს ავადმყოფთ დილის 12—2 საათ. ყორღანოვის ქ. № 6.

ექიმი ქალი რ. ბ. ზიზილო-ხაბაზიშვილი მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკურ-ქირურგიულ კოლეჯისა. იღებს ყოველ დღე შინაგან, ქალურ და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა [illegible] დარიგებას. სიფილისის წამლობა ახალი მეთოდებით დილის 10—12 ს. და საღამოს 6—7 ნახ. საათამდე. მიხაილის პრ. სახლი № 119. ტელ. 9—26. 2306

ექიმი ნიკოლოზ მახვილაძე იღებს სპეციალურად მალარიით (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვ. შინაგან სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5—7 ს. ელექტრიზაცია და მისამართი მოსკოვის ქ. № 11. 2245

ექიმი ნ. დ. თურიაშვილი (მედიცინის დოქტორი მიუნხენის უნივერსიტეტისა) ღებულობს ავადმყოფებს ყოველ დღე შუადღის 12—2 და საღ. 4—6 საათამდე. შინაგანი, ბავშვებისა, საბებიო და საშვილოსნოს სნეულებანი. ნიკოლოზის ქუჩა № 7. სიმონოვიჩის აფთიაქის გვერდით. 903

ექიმი დ. ქ. აბაკელია შინაგანი ავადმყოფობა, განსაკუთრებით ავადმყოფობანი გულმკერდისა: ფილტვებისა, სასუნთქისა ფილტვების აპკისა, გულისა და ჯირკვლებისა. ამოცნობა (დიაგნოზი) და წამლობა ყოველი გვარი ჭლექისა, სისხლნაკლულობისა და მალარიისა. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა საღამოს $4^1/_2$—6 საათამდე. პეტრე დიდის ქ. № 26. ტელ. 5—86. 1270

თვალის სამკურნალო. მუდმივი საწოლით ექიმ დონხინისა

რომელიც დიდი ხნის განმავლობაში ასისტენტად იყო ვენასა და პარიზში თვალის კლინიკებში. თვალით ავადმყოფნი მიიღებიან დილის 9—1 საათამდე და საღამოს 4—7 ს. მიხეილის პროსპ. № 141 (აპოლოს კინო-თეატრის მახლობლად). მძიმე და საოპერაციო ავადმყოფები სრული პანსიონითაც მიიღებიან. 62

ექიმი ვ. ი. ბერეჟიანი მიიღება ვენერიული, საშარდე ორგანოების, სიფილისის (შეშხაპუნება 606—914) და კანის ავადმყოფები დილით 9—12 ს. და საღამოთი 5—8 ს. ქალების მიღება 12—1 ს. კვირაობით მხოლოდ დილით მიხაილოვის შესახვევი სასტუმრო „ნოვს“ პირდაპირ № 8. 301

ექიმი ქ. ტყემელაშვილი, განაახლა ავადმყოფების მიღება (საშარდე და სასქესო ორგანოების სნეულებანი, ვენერიული ავადმყოფობანი, სიფილისი, „914“-ის შეშხაპუნება) ყოველ დღე საღამოობით 6—8 საათ. გარდა კვირისა. კერძო საავადმყოფოში, მიხეილის ქუჩა, № 167. 2407

ექიმი ზ. ა. მიქელაძე მიიღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 6—7 საათამდე, მიხეილის პროსპექტი № 118.

რენტგენისა და ელექტრონის სამკურნალო კაბინეთი

წითელი ჯვრის სარენტგენო კაბინეტის ყოფილ გამგის და მიხეილის საავადმყოფოს ექიმის ა. ლევენზონისა მიიღებს შინაგან და ნერვიულ ავადმყოფებს. სპეციალურად ფილტვების ავადმყოფობა (ტუბერკულიოზი), გულისა, კუჭისა და [illegible] მალარიის წამლობა. რენტგენოგრაფია ჩაწერით. დაჭრილებს რიგს გარეშე იღებენ. კრილოვის ქ. № 5, ბ. 3. მიღება 4—8 საათ., გარდა კვირისა. ტელეფონი 12—46. 202

მედიცინის დოქტორი ბერლინის უნივერსიტეტისა

გ. გ. მეზრაბიანცი

ჩამოვიდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. შინაგანი ავადმყოფობა, ჭლექისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის—ელექტრო წამლობის კაბინეტში; გასინჯვა და წამლობა X-ს სხივებით დიდი სალენოიდი და არსევალის ტოკით ფილტვების, გულისა და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის, ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 6—8 საათ. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფონი 7—92. 1340

კერძო სამკურნალო

ექ. ა. დ. ალექსიძის

მომსვლელ ავადმყოფთათვის. ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე სპეციალისტი ექიმები.

გ. მ. რეკვავა—შინაგან და ნერვების ავადმყოფობანი 9—11

მ. მ. ტყემალაძე—კანის და ვენერიული, სიფილის. 606—914 ([illegible]) 11—12 ს.

ი. ა. ლაზარევი—საბებიო საშვილოსნო ავადმყოფობანი 12—1 ს.

ნ. თ. ანდრონიკაშვილი—შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი 1—2 ს.

ა. დ. ალექსიძე—შინაგანი და ქალთა სნეულებანი 2—4 ს.

მ. ნ. იშხნელი—შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი 4—6 ს.

ს. გ. ჯაფარიძე—საბავშვო ავადმყოფობანი 6—7 ს.

ი. ა. ხათრიძე—ბაქტერიოლოგი—გამგე სამკურნალოს ლაბორატორიისა სადაც შეიძლება ყოველგვარი ანალიზის მოხდენა (შარდის, სისხლის, ნახველისა და სხვა).

ელექტრიზაცია, მასაჟი, აცრა და ნემსების გაკეთება.

სამკურნალოში ღამითაც იმყოფება მორიგი ექიმი.

მისამართი: ირაკლის ქუჩა № 6, ეგზარხოსის მოედანთან, ტელეფონი № 9—8

სამკურნალოში ყოველთვის იმყოფება მორიგი ექიმი. 2178

ექიმ ნავახარდიანის პირველი კერძო სამკურნალო.

(დაარსებულია 1880 წელს)

ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ ყოველ დღე (გარდა კვირისა) დილით:

„606“ და „914“ 11—12 ს.

ა. ა. ნავახარდიანი—11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილის. ავადმყ.)

ბ. ნ. აგახაროვი: 10—12 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.

მ. გ. ავეტიხიანი—კანისა და ვენერიულ ავადყოფებს 12—1 ს.

დ. ი. ჯაფარიძე: 10—11 ს. ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებანი.

მ. მ. ბენიამოვიჩი: 10—12 ს. ყური., ყელისა და ცხვირის სნეულებანი.

ნ. გ. ავეტიხიანი—11—12 საკუთარი ბავშვთა ავადმყ.

ი. ი. ტერ-გრიგორიანცი, 12—1 ს. შინაგანი.

რჩევა-დარიგება 3 მან. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ა. ნავახარდიანი.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„სახალხო საქმე“

ღირს: თვით 10 მან., ნომერი ღირს პროვინციასა და ტფილისში 50 კაპ., რკინის გზის სადგურებზე 60 კ., განცხადება: ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით პირველ გვ. 60 კაპ., უკანასკნელ გვ. 40 კაპ. სამგლოვიარო განცხადება 15 მან. ხელის მოწერა და განცხადება მიიღება რედაქციის კანტორაში ყოველ დღე დილის 9—3 საათამდე, სასახლის ქუჩა, № 6, ფოსტის ყუთი 190, ტელეფონი 12—29.

სტამბა „სახალხო საქმე“ ტფილისი. [illegible] ქუჩა